სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 61

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

23 ოქტომბერი, 2017 წ. ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[4] მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) პოზიციაზე.
2. დამტკიცდეს სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი პირობები დანართი 1-ის შესაბამისად.
3. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაა:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით);
- დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში);
- გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა განმცხადებლის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა (არაუმეტეს 2 გვერდისა);

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (მონაწილეობა/ხელმძღვანელობა);
- ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ჩამონათვალი;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი ვაკანტურ პოზიციაზე უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა);
- ინფორმაცია შესაბამისი დარგის 2 რეკომენდატორის შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელ-ფოსტა), (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში).

4. გამრჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის ორი ეტაპი:
   - განცხადებების გადარჩევა
   - გასაუბრება
5. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 6 ნოემბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით 11.30 სთ-დან 17.00 სთ-მდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში (შაბათ-კვირის გარდა) მისამართზე: თბილისი, მ.ალექსიძის ქ. N1/3.
6. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2017 წლის 15 ნოემბერი, 15.00 სთ.
7. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 ნოემბრისა.
8. დამტკიცდეს საკონკურსო განაცხადის ფორმა დანართი 2-ის შესაბამისად.
9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების სამსახურს აღნიშნული ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
10. სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭო.
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საფუძველი: სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის ოქმი N23.

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*